მიუთითეთ სხვადასხვა შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვისათვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები

სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
სხვადასხვა შემოსავლები					
010	უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით ფლობიდან მიღებული მოგება	-	-	-	-
020	უცხოურ ვალუტაში აქტივების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება	-	-	-	-
030	უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება	-	-	-	-
040	კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების ფლობით მიღებული მოგება	-	-	-	
050	სულ სხვადასხვა შემოსავლები	-	-	-	27 182,59
სხვადასხვა ხარჯები					
060	უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი	328,35	-	328,35	-
070	უცხოურ ვალუტაში აქტივების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი	328,35	-	328,35	-
080	უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი	-	-	-	-
090	კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების ფლობით წარმოქმნილი ზარალი	-	-	-	-
100	სულ სხვადასხვა ხარჯები	328,35	-	328,35	4 928,70

შენიშვნა N19 ფულადი სახსრები გადასახადებიდან 1

სტრიქონის	საგადასახადო შემოსავლების დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
010	ფიზიკური პირებისგან საშემოსავლო გადასახადი	12 029 744,59	10 658 056,86
020	კორპორაციებიდან და სხვა საწარმოებიდან მოგების გადასახადი	-	-
030	ქონების გადასახადი		
040	დღგ		
050	აქციზი	-	-
060	საბაჟო და იმპორტის მოსაკრებლები	-	-
070	სხვა საგადასახადო შემოსავლები	-	-
080	სულ	12 029 744,59	10 658 056,86

1 ივსება შესაბამისი ერთეულების მიერ, საკასო მეთოდის შესაბამისად

შენიშვნა N20 საოპერაციო საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობის შეჯერება (შედარება) ნამეტთან/(დეფიციტთან) 1

სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის	წინა
010	ნამეტი/დეფიციტი (+/-)	309 065,73	3 520 769,76
არაფულადი მოძრაობები (კორექტირებები)			
020	დარიცხული წმინდა პროცენტი (-/+) 2	(317 197,36)	-
030	ცვეთა (+)	500 856,13	513 932,24
040	ამორტიზაცია (+)	14 681,80	17 495,79
050	წლის გაუფასურების/ღირებულების შემცირების/საეჭვო მოთხოვნების ხარჯი (+)	(17 870,53)	3 770,63
060	სხვადასხვა ხარჯები	(4 600,35)	
070	კრედიტორული დავალიანების ზრდა/კლება (+/-)	(206 602,01)	363 472,96
080	ანარიცხების ზრდა/კლება (+/-)	-	-
090	სხვა მიმდინარე ვალდებულებების ზრდა/კლება (+/-)	(283 910,67)	(317 941,69)
100	წლის გაუფასურების ღირებულების შემცირების/საეჭვო მოთხოვნების ხარჯის უკუგატარებით შემოსავალი (-)	(12,88)	-
110	სხვადასხვა შემოსავლები (-)	-	-
120	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი (-/+)	-	(16 750,00)
130	ინვესტიციების გასვლიდან მიღებული მოგება/ზარალი (-/+)	-	-
140	დებიტორული დავალიანების ზრდა/კლება (-/+)	(56 827,95)	(19 991,03)
150	მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(8 115,67)	-
160	სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა/კლება (-/+)	(36 433,47)	(58 752,98)
170	სხვა არაფულადი ოპერაციებით ზრდა/კლება (-/+)	110 076,10	(4 304 009,46)
180	გადახდილი პროცენტი (-) 3	-	(304 859,22)
190	მიღებული პროცენტი და დივიდენდი (+) 4	420 972,51	-
200	**წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან**	424 081,38	(265 220,43)

1 ივსება შესაბამისი ერთეულების მიერ რომლებიც მართავენ და აკონტროლებენ ფულად სახსრებს

2 აისახება დარიცხულ საპროცენტო შემოსავლებსა და საპროცენტო ხარჯებს შორის სხვაობა

3 აისახება საკმის გადასდა

4 აისახება საკმის მეთანადობა

შენიშვნა 21 ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრები

სტრიქონის კოდი	ბიუჯეტის შესრულების ანგარიში		ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება			ბიუჯეტის ნაშთისა და წმინდა ფულადი სახსრებისა და
	დასახელება	ბიუჯეტის შესრულება	ფულადი სახსრები	ფულადი სახსრები	ფულადი სახსრები	
ბიუჯეტის შემოსულობები						
010	ბიუჯეტის შემოსავლები	-	-	0	0	0
020	გადასახადები	12 029 745,00	12 029 744,59	0	0	0
030	გრანტები	12 098 865,00	12 098 865,41	0	0	0
040	სხვა შემოსავლები	431 224,00	431224,21	0	0	0
050	არაფინანსური აქტივების შემცირება	45228		45 227,50	0	0
060	ფინანსური აქტივების შემცირება	0		-	0	0
070	ვალდებულებების ზრდა	-	0	0	-	0
080	**სულ ბიუჯეტის შემოსულობები**	**24 605 062,00**	**24 559 834,21**	**45 227,50**	0	**0**
ბიუჯეტის გადასახდელები						
090	შრომის ანაზღაურება	10 561 859,26	10 561 859,26	0	0	0
100	საქონელი და მომსახურება	4 411 948,13	4 411 948,13	0	0	0
110	პროცენტი	-	-	0	0	0
120	სუბსიდიები	5 659 835,97	5 659 835,97	0	0	0
130	გრანტები	28 993,00	28 993,00	0	0	0
140	სოციალური დახმარება	2 563 719,05	2 563 719,05	0	0	0
150	სხვა ხარჯები	1 074 888,40	1 074 888,40	0	0	0
160	არაფინანსური აქტივების ზრდა	651 840,69	0	651 840,69	0	0
170	ფინანსური აქტივების ზრდა	-	0	-	0	0
180	ვალდებულებების (ვალის) შემცირება	-	0	0	-	0
190	***სულ ბიუჯეტის გადასახდელები***	**24 953 084,50**	**24 301 243,81**	0	0	**0**
200	***ბიუჯეტის ნაშთი2***	**(348 022,50)**	0	0	0	**(348 022,50)**
210	ფულადი სახსრების ექვივალენტები	0	0	0	0	
220	**ბიუჯეტისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მთლიანი ნაშთი**	0	0	0	0	**(348 022,50)**
230	**წმინდა ფულადი სახსრები საქმიანობის მიხედვით**	0	**258 590,40**	**(606 613,19)**	-	
240	***ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა***	**0**			**(348 022,79)**	**0,29**

1 ივსება მხოლოდ იმ ერთეულების მიერ, რომლებიც აკონტროლებენ ფულად სახსრებს

2 ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ბიუჯეტის ნაშთისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ჯამი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა

3 აღნიშნული ტოლია ფინანსური აქტივების ზრდას გამოკლებული ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ბიუჯეტის ფაქტობრივი საოპერაციო ნაშთისა და საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შეჯერე

ბიუჯეტის საერთო (მთლიანი) ნაშთი	**xxx**
არაფინანსური აქტივების ზრდა/(შემცირება)	xxx
ბიუჯეტის საოპერაციო ნაშთი	**xxx**
განსხვავებები საფუძვლების (მეთოდების) მიხედვით	xxx
განსხვავებები დროითი პერიოდის მიხედვით	xxx
განსხვავებები ერთეულების მიხედვით	xxx
განსხვავებები კლასიფიკაციის მიხედვით	xxx
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	xxx

სტროქონის კოდი	ფაქტობრივი თანხა შესადარის საფუძველზე ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მიხედვით	საოპერაციო საქმიანობა	საინვესტიციო საქმიანობა	ფინანსური საქმიანობა
010	განსხვავებები საფუძვლების (მეთოდების) მიხედვით			
020	განსხვავებები დროითი პერიოდის მიხედვით			
030	განსხვავებები ერთეულების მიხედვით			
040	განსხვავებები კლასიფიკაციის მიხედვით			
050	**ფაქტობრივი თანხა ფულადი სახსრების მოძრაობის**			

შენიშვნა N22 სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი კატეგორიები 1

სააღრიცხვო პოლიტიკები:

მიუთითეთ ადმინისტრირებადი კატეგორიების აღრიცხვისათვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები

სტრიქონის კოდი	აქტივები	საანგარიშგებო პერიოდის	წინა საანგარიშგებო
010	ფულადი სახსრები ხაზინაში	-	-
020	სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ეროვნულ	-	-
030	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სახსრები ეროვნულ	-	-
040	ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების სახსრები ეროვნულ ვალუტაში	0	0
050	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების	-	-
060	სხვა ანგარიშები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	-	-
070	ხაზინის სავალუტო ანგარიში	0	0
080	ფულადი სახსრების ექვივალენტები	-	-
090	სახელმწიფო ხაზინის მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში	-	-
100	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ 3 თვემდე ვადიან	-	-
110	ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებისა და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული	-	-
120	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სსიპ-ების და	-	-
130	მიმდინარე ინვესტიციები	-	-
140	მოკლევადიანი სესხები	-	-
150	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-
160	ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების	-	-
170	მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები,	-	-
180	სხვა მიმდინარე ინვესტიციები	-	-
190	სხვა მოკლევადიანი აქტივები	45 916,54	-
200	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	-	-
210	გრძელვადიანი სესხები	-	-
220	ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
230	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	-	-
240	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	-	-
250	ძირითადი აქტივები	4 323 930,95	
260	საინვესტიციო ქონება		
270	არამატერიალური აქტივები		
280	შეღავათიანი მომსახურების აქტივები		
290	ფინანსური იჯარის ფარგლებში მიღებული		
300	სხვა არაფინანსური აქტივები		
310	**სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი აქტივები**	4 369 847,49	-

სტრიქონის კოდი	ვალდებულებები	საანგარიშგებო პერიოდის	წინა საანგარიშგებო
010	მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები	-	-
020	მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები	-	-
030	მოკლევადიანი (მიმდინარე) სესხები	-	-
040	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		
050	გრძელვადიან ფინანსურ იჯარაზე		
060	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების გრძელვადიანი ეკონომიკურების მიმდინარე		
070	მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები		
080	მოკლევადიანი (მიმდინარე) ანარიცხები		
090	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები		
100	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით		
110	გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
120	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი	-	-
130	გრძელვადიანი სესხები	-	-
140	გრძელვადიანი ვალდებულებები ფინანსური	0	0
150	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებით	0	0
160	გრძელვადიანი ანარიცხები	0	0
170	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფინანსური ეკონომიკურები		
180	**სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი მთლიანი ვალდებულებები**	-	-

სტრიქონის კოდი	შემოსავლები	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
010	საგადასახადო შემოსავლები		
020	შემოსავლები გრანტებით	10 525,90	
030	სხვა შემოსავლები	420 972,51	-
040	საპროცენტო შემოსავლები	317 197,36	
050	დივიდენდებიდან შემოსავლები	103 775,15	
060	რენტიდან შემოსავლები		
070	საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსა	1 413,00	
080	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები		
090	შემოსავლებიჯარიმებით, სანქციებით და საურავებით		
100	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არაა კლასი	383 547,66	
110	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	1 365 244,15	

120	სხვა საოპერაციო შემოსავლები	2760	
130	კურსთაშორის სხვაობით და ფლობით მიღებული სხვა მოგება		
140	სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან მიღებული მოგება		
150	**სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი შემოსავლები**	2 184 463,22	-

სტრიქონის კოდი	ხარჯები	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
010	შრომის ანაზღაურების ხარჯები		
020	საქონლისა და მომსახურების ხარჯები	242 745,02	
030	გრანტების და სუბსიდიების ხარჯები	375 763,00	
040	ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		
050	შიდა ტრანსფერებით ხარჯები		
060	სოციალური დახმარების/უზრუნველყოფის ხარჯები	2 020 911,26	
070	სხვა ხარჯები	2 375 948,04	-
080	საპროცენტო ხარჯები	317 197,36	
090	რენტის ხარჯები	-	-
100	ხარჯები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან	2 058 750,68	
110	ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა		
120	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები		
130	სხვა საოპერაციო ხარჯები	2760	
140	კურსთაშორის სხვაობით და ფლობით წარმოქმნილი სხვა ზარალი		
150	სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან წარმოქმნილი ზარალი	0	0
160	**სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი ხარჯები**	5 018 127,32	-

1 ცხრილში სახელმწიფოს საბუღთით ფლობილია აქტივები, ადგებული ვალდებულებები, მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შესავალი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2022 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური და ნაერთი (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგებების საფუძველზე.

რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ დარიცხვის მეთოდით, ხოლო მეთოდოლოგიით განსაზღვრულ შემთხვევებში, დასაშვებია საკასო მეთოდის გამოყენება.
კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი სსბასს-ები:

სსბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“;

სსბასს 2 – „ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება“;

სსბასს 3 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“;

სსბასს 4 – „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“;

სსბასს 9 – „შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან“;

სსბასს 12 – „მატერიალური მარაგები“;

სსბასს 13 – „იჯარა“;

სსბასს 14 – „ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები“;

სსბასს 17 - „ძირითადი აქტივები“;

სსბასს19 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“;

სსბასს 20 – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმართებითი შენიშვნები“;

სსბასს 21 – „ფულადი სახსრების არ წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება“;

სსბასს 23 – „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან(გადასახადები და ტრანსფერები)“;

სსბასს 24 - „ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში“;

სსბასს 31 – „არამატერიალური აქტივები“;

სსბასს 36 – „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“;

ჰინანსური ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“.
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.
- საქართველოს „შრომის კოდექსი“.
- წლიური კანონი „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანება, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციია შესახებ“.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 2021 წლის 04 თებერვლის №24 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 02 დეკემბრის ბრძანება N289, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N364, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილება, „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N449, „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“.

-საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15იანვრის N17 ბრძანება- „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის თაობაზე“ .

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდაციას დაექვემდებარა მხარჯავი დაწესებულებების ნაერთი და ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგებები.

აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულების მიერ მომზადებული ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგებები მოიცავს დაქვემდებარებული ერთეულების ინდივიდუალურ ბუღალტრულ ანგარიშგებებს. ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების საფუძველზე განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერებით.

ნაერთი (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგების შედგენისას გამოყენებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული კონსოლიდაციის ძირითადი პრინციპი -

შიდა ოპერაციების ამოთიშვა (ელიმინირება), ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებს და მხარჯავ დაწესებულებებს შორის განხორციელებული მონეტარული და არამონეტარული ოპერაციების შედეგად შემოსავლების და ხარჯების ორმაგად ასახვის და არაზუსტი და არასაიმედო ფინანსური შედეგების წარდგენის თავიდან აცილების მიზნით.

შიდა ოპერაციების ამოთიშვა განხორციელდა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათებისა და "არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად აქტივების/ვალდებულებების მიღება/გადაცემის შესახებ" ფორმების შესაბამისად.

1.კონსოლიდაციის პროცესში ელიმინირებას დაექვემდებარა არაგაცვლითი ოპერაციებით განხორციელებული ტრანსფერები:

ა) მიმღები საბიუჯეტო ერთეულის მიერ, აქტივების მიღებით აღიარებული შემოსავლები გრანტებით და ვალდებულების აღებით აღიარებული ხარჯები გრანტებით.
ბ) გამცემი საბიუჯეტო ერთეულების მიერ, აქტივების გაცემით აღიარებული ხარჯები გრანტებით და ვალდებულებების გადაცემით აღიარებული შემოსავლები გრანტებით.
2. მონეტარული შიდა ოპერაციით, გამცემი საბიუჯეტო ერთეულის მიერ მიღებული დაფინანსება აისახება, როგორც მიმღები საბიუჯეტო ერთეულის მიერ გაწეული ფაქტობრივი (საკასო) ხარჯები, საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად.

3. საბიუჯეტო ერთეულების ფაქტობრივი (საკასო) ხარჯები, დარიცხული შემოსავლები და ხარჯები (გარდა გადაფასების შედეგად ძირითადი აქტივების ღირებულების ზრდის/შემცირების შემთხვევებისა), საანგარიშო წლის ბოლოს ჯერ დაექვემდებარა გადახურვას საანგარიშო პერიოდის ნამეტი/დეფიციტის ანგარიშებზე, ხოლო შემდგომ ამ ანგარიშების დახურვით დაკორექტირდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშები, საქმიანობის სახეების მიხედვით.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება მოიცავს შემდეგი მხარჯავი დაწესებულებების ფინანსურ ანგარიშგებებს:

1. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო (ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგება);
2. აფხაზეთის ა/რ მთავრობა (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება):
3. აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება);
4. აფხაზეთის ა/რ განათლების და კულტურის სამინისტრო (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება);
5. ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა (ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგება);
6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება);
7. აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება);
8. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
- ფინანსური შედეგების ანგარიშგება;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება;
- წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება;
- ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წარმოდგენილია ვერტიკალური ფორმატით. აქტივები სულ შეადგენს - 38044737,41 ლარს და გასულ წელთან შედარებით (38273522,16 ლარი) შემცირებულია - 228784,75 ლარით.
მოკლევადიანი აქტივები სულ შეადგენს - 3267404,51 ლარს და წარმოდგენილია შემდეგი სახით:
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში შეადგენდა - 1153737,31 ლარს. წლის ბოლოსთვის ფულადი სახსრების ნაშთი შემცირდა – 331466,21 ლარით და შეადგინა – 822271,10 ლარი. დეტალური მონაცემები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების N2 შენიშვნაში და წარმოადგენს: ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებულ აფხაზეთის საბიუჯეტო ფულად სახსრებს - 595738,71 ლარს და ავტონომიური რესპუბლიკის სსიპების საკუთარ სახსრებს - 226532,39 ლარს. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებიდან ჩანს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ფულადი სახსრების მთლიანი შემოსულობა ბიუჯეტით შეადგენს - 24559834,21 ლარს, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით - 631187,12 ლარს. სულ - 251981021,33 ლარს (აღნიშნულ საბიუჯეტო შემოსავლებში - 5268,09 ლარი განთავსებულია დროებით გაურკვეველ თანხებში, რაც წარმოადგენს გასული პერიოდის საკასო ხარჯების აღდგენის თანხას). ბიუჯეტით გასულმა თანხებმა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით შეადგინა - 24301243,81 ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო თანხებით - 465696,14 ლარი. სულ ბიუჯეტის გასავალმა შეადგინა - 24766939,25 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან წარმოადგენს ნამეტს, ბიუჯეტით (24559834,21-24301243,81) – 258590,40 ლარს, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით (631187,12-465696,14) – 165490,98 ლარს. სულ საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების ნამეტმა შეადგინა – 424081,38 ლარი.
საინვესტიციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრები შეადგენს: ბიუჯეტით - 651840,69 ლარს, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით - 148934,40 ლარს, სულ - 800775,09 ლარს, რაც წარმოადგენს ძირითადი აქტივების შესყიდვას. ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან მიღებულმა თანხებმა შეადგინა - 45227,50 ლარი. სულ ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან შეადგენს - (-800775,09+45227,50) – -755547,59 ლარს.
აღნიშნული კომპონენტის მიხედვით ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება შეადგენს (424081,38-755547,59) – -331466,21 ლარს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთმა პერიოდის დასაწყისისათვის შეადგინა - 1153737,31 ლარი და შესაბამისად ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს (-331466,21+1153737,31) – 822271,10 ლარს(ბიუჯეტის შესრულების დეტალური ანგარიში მოცემულია ფინანსური ანგარიშგების N21 შენიშვნაში).

მოკლევადიანი მიმდინარე დებიტორული დავალიანებები წლის დასაწყისისათვის შეადგენს - 368418,14 ლარს. პერიოდის ბოლოსათვის დავალიანებები გაიზარდა – 56827,95 ლარით და შეადგინა – 425246,09 ლარი, რომელიც შემცირებულია საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების - 300 ლარით. სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი შეადგენს(425246,09-300) – 424946,09 ლარს. დეტალური მონაცემები მოცემულია N2-ა შენიშვნების ცხრილში და ძირითადად წარმოადგენს სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებულ მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებს - 63772 ლარს, მოკლევადიან საგადასახადო დებიტორულ დავალიანებებს - 1004,50 ლარს და მოკლევადიან ფულად მოთხოვნებს არაგაცვლითი ოპერაციებით - 302650,27 ლარს.

ფინანსური ანგარიშგების N4 შენიშვნაში მოცემულია, მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები წინასწარი გადახდებით - N1-15-1000 ანგარიშის ქვეანგარიშებზე - 231459,40 ლარი და მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით - 1585444,20 ლარი და ძირითადად წარმოადგენს კოდორის ხეობაში დარჩენილი აქტივების ღირებულებას, რომელიც ირიცხება აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე – 1504831,89 ლარი, ხოლო – 80612,31 ლარი წარმოადგენს დანაკლისის თანხებს, რომელზეც მიმდინარეობს სამართლებრივი ღონისძიებებით განსაზღვრული პროცედურები.

-N3 შენიშვნაში მოცემულია მატერიალური მარაგების მოძრაობის მაჩვენებლები.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით მატერიალური მარაგები აღრიცხვაში აისახება თვითღირებულებით. ვინაიდან სამინისტროს სისტემაში შემავალი დაქვემდებარებული ეერთეულები არ ახდენს მარაგების რეალიზაციას, თვითღირებულება და წმინდა (ნეტო) სარეალიზაციო ღირებულება ერთმანეთის ტოლია. მარაგების ნაშთების მოცულობამ პერიოდის დასაწყისში შეადგინა - 193518,05 ლარი. პერიოდის განმავლობაში განხორციელებული რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად საწყისი ნაშთი გაიზარდა - 1650 ლარით და გადაანგარიშებულმა საწყისმა ნაშთმა შეადგინა - 195168,05 ლარი.მარაგების მიღებისა და გასვლის მონაცემებით პერიოდის ბოლოსთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფიქსირდება მარაგების ზრდა - 8115,67 ლარით და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საბოლოო ნაშთი შეადგენს - 203283,72 ლარს. მარაგების მიღების ძირითადი წყაროა შესყიდვები - 1045789,52 ლარი, ურთიერთგადაცემების მონაცემების ელიმინირების შემდგომ გრანტებით მარაგების მიღებამ შეადგინა - 1074270,14 ლარი, გარე ტრანსფერებით მიღებამ შეადგინა - 266560,20 ლარი. სხვადასხვა შემოსავლებით მიღებული იქნა - 17594,95 ლარის ღირებულების მარაგები. შესაბამისად, შემოსავლების N14 შენიშვნების ცხრილში, როგორც სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტი, საბიუჯეტო სახსრებით ასახულია 1074270,14 ლარი, მიმდინარე გრანტები სასაქონლო ფორმით, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით მიმდინარე გრანტებმა ფულადი ფორმით შეადგინა – 252571,63 ლარი. მარაგების გასვლის მნიშვნელოვანი წყაროა მოხმარება საქონლისა და მომსახურების მუხლით - 647941,77 ლარი. გრანტების სახით ხარჯებმა ელიმინირების შემდეგ შეადგინა - 661184,39 ლარი, რაც ასევე ასახულია გრანტებით ხარჯების N17/ბ შენიშვნების ცხრილში. მატერიალური მარაგების სხვა დანარჩენი ხარჯები ძირითადად გაწეულია: გარე ტრანსფერებით – 1045008,41 ლარი და სოციალური დახმარებით - 41964,57 ლარი.

მატერიალური მარაგების ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით 100 ლარზე მეტი ღირებულების მარაგები და ექსპლუატაციაში მყოფი მცირეფასიანი საგნები ირიცხება N4 საცნობარო მუხლში, ხოლო მარაგების ნაშთების ღირებულების შეფასება წარმოებს „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია „ფიფო“ მეთოდის გამოყენება.

ძირითადი აქტივების მოძრაობის მაჩვენებლები ასახულია ფინანსური ანგარიშგების N6 შენიშვნაში. ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი აქტივები აღრიცხვაში აღიარებულია ისტორიული ღირებულებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის „1/ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ძირითადი აქტივების ისტორიულ ღირებულებად აღიარებას დაექვემდებარა პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულება, ხარჯებში ჩამოწერილი ცვეთის თანხის აღდგენის გზით. შესაბამისად, ძირითადი აქტივების თვითღირებულების ნაშთმა პერიოდის დასაწყისისთვის შეადგინა - 36219923,93 ლარი, ერთჯერადი გადაფასების რეტროსპექტული გადაანგარიშებით, გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი გაიზარდა - 1369801,62 ლარით და შეადგინა - 37589725,55 ლარი. დაგროვილი ცვეთის თანხის ნაშთი პერიოდის დასაწყისში შეადგენდა - 3284584,94 ლარს. პერიოდის განმავლობაში ცვეტის ნაშთის ელიმინირებით შემცირებას დაექვემდებარა - 534281,56 ლარი და გადაანგარიშებულმა საწყისმა ნაშთმა შეადგინა - 2750303,38 ლარი, შესაბამისად, გადააგარიშებულმა საბალანსო ღირებულებამ პერიოდის დასაწყისისათვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგინა - 34839422,17 ლარი. პერიოდის განმავლობაში შესყიდული იქნა – 614432,97 ლარის ღირებულების აქტივები, გრანტის სახით მიღებებმა ელიმინირების შემდგომ სულ შეადგინა – 4799261,47 ლარი. სამინისტროს დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის ძირითადი აქტივების ურთიერთგადაცემის შემთხვევები დაექვემდებარა ამოთიშვას მიღებული აქტივების კუთვნილი ცვეთის თანხების გათვალისწინებით და N14 შენიშვნების ცხრილში შემოსავლები კაპიტალური გრანტებით შეადგენს - 1019831,86 ლარს. ასევე ელიმინირებულია გრანტის ხარჯები გასვლისას ანულირებული ცვეთის თანხების გათვალისწინებთ და კაპიტალური გრანტის ხარჯების მოცულობამ N17/ბ შენიშვნების ცხრილში შეადგინა – 380155,69 ლარი. მიღებული და გასული აქტივების გავლენით პერიოდის ბოლოს ძირითადი აქტივების თვითღირებულებამ შეადგინა - 37888714,46 ლარი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხულმა ცვეთის თანხამ, შეადგინა - 500843,25 ლარი, გასული ძირითადი აქტივების კუთვნილმა ანულირებულმა ცვეთის თანხამ შეადგინა 97540,93 ლარი, ხოლო მიღებული აქტივების კუთვნილმა ცვეთის თანხამ - 169810,03 ლარი. სულ აგრეგირებულმა ცვეთის თანხამ, შეადგინა - 3323415,73 ლარი. ძირითადი აქტივების 2022 წლის გაუფასურების ხარჯი შეადგენს - 16784,01 ლარს, ხოლო გასვლისას ანულირებული გაუფასურება - 1869,74 ლარს. სულ გაუფასურების ზარალმა პერიოდის ბოლოს შეადგინა - 15714,27 ლარი. ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულებამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პერიოდის ბოლოს შეადგინა (37888714,46–3323415,73-15714,27) – 34549584,46 ლარი.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი აქტივების ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით ექსპლუატაციის ვადის პროპორციულად, ნარჩენი ღირებულების გარეშე და შესაბამისად თვითღირებულება და ცვეთადი ღირებულება ერთმანეთის ტოლია.

არამატერიალური აქტივების მოძრაობის მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების N8 შენიშვნების ცხრილში. პერიოდის დასაწყისისთვის ნაშთმა თვითღირებულებით შეადგინა - 181776,79 ლარი, ხოლო რეტროსპექტული გადაანგარიშებულმა საწყისმა ნაშთმა(გაიზარდა - 8646,52 ლარით) – 190423,31 ლარი. პერიოდის შესყიდვებით მიღებამ შეადგინა - 43336 ლარი. სხვა გასვლებით გასულია(ჩამოწერილია) - 1500 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები. სულ თვითღირებულებამ პერიოდის ბოლოს შეადგინა - 223259,31 ლარი. დაგროვილი ამორტიზაციის საწყისმა ნაშთმა შეადგინა - 73902,55 ლარი, ხოლო 2022 წელს

დარიცხულმა ამორტიზაციამ - 14681,80 ლარი. გასვლისას ანულირებულმა ამორტიზაციამ - 900 ლარი. სულ აგრეგირებულმა ამორტიზაციის თანხამ შეადგინა - 87684,35 ლარი. არამატერიალური აქტივების წლის გაუფასურების ხარჯი შეადგენს - 786,52 ლარს, ხოლო გასვლისას ანულირებული გაუფასურების ზარალი - 600 ლარს. სულ დაგროვილი გაუფასურების საბოილოო ნაშთი - 186,52 ლარს. არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგინა (232259,31-87684,35-186,52) – 144388,44 ლარი.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადით განსაზღვრული ამორტიზებადი ღირებულებიდან, რომელიც თვითღირებულების ტოლია.

N11 შენიშვნების ცხრილში წარმოდგენილია ფასეულობები, რომლის ღირებულებამ პერიოდის დასაწყისში შეადგინა - 5700 ლარი. პერიოდის განმავლობაში შესყიდვებით მიღებამ შეადგინა - 3530 ლარი, (აღიარებულია, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა) ხოლო სხვა მიღებებით - 74430 ლარი. სხვა გასვლებით გასულია - 300 ლარის ღირებულების ფასეულობები და პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია - 83360 ლარი.

ავტონომიურ რესპუბლიკას პერიოდის დასაწყისისათვის ერიცხება მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები – 427688,60 ლარი N2–13–0000 ძირითადი ანგარიშის ქვეანგარიშებზე. პერიოდის ბოლოს დავალიანებების გადაანგარიშების შედეგად საწყისი ნაშთი შემცირდა - 600 ლარით და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია - 427088,60 ლარი. პერიოდის ბოლოსათვის დავალიანებები შემცირდა - 231991,98 ლარით და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია - 195096,62 ლარი. სხვა მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებები პერიოდის დასაწყისისათვის შეადგენს – 4090,57 ლარს, რომელიც პერიოდის განმავლობაში გაიზარდა - 340,12 ლარით და შეადგენს - 4430,69 ლარს და წარმოადგენს ავანსად მიღებულ საიჯარო შემოსავლებს. პერიოდის განმავლობაში მოკლევადიანმა ავანსად მიღებულმა გრანტებმა შეადგინა - 63772 ლარი და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია - 68202,69 ლარი. ვალდებულებებმა დროებით განთავსებული სახსრებით ხაზინაში პერიოდის დასაწყისისათვის შეადგინა – 943761,50 ლარი. პერიოდის განმავლობაში ვალდებულება შემცირდა - 348022,79 ლარით და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია - 595738,71 ლარი. გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები (წარმოდგენილია სხვა კრედიტორული დავალიანებების სახით), პერიოდის დასაწყისისთვის შეადგენს – 134372,78 ლარს. პერიოდის განმავლობაში დავალიანება შემცირდა - 21947,83 ლარით და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია - 112424,95 ლარი.

მოძრაობის მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების N13/ა შენიშვნაში.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით ვალდებულების ოპერაციებზე გადასახდელები გამოირიცხება კრედიტორული დავალიანებების ოპერაციებისაგან და განიხილება, როგორც ხარჯვითი ოპერაციები. საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების ღირებულებას წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება.

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების მაჩვენებლები წარმოდგენილია ამავე დასახელების ანგარიშგების ფორმაში. გაუნაწილებელი ნამეტის ნაშთმა პერიოდის დასაწყისში შეადგინა საბიუჯეტო სახსრებით - 33477762,20 ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით – 1316966,56 ლარი, სულ – 34794728,76 ლარი. წინა პერიოდის არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშებით საბიუჯეტო სახსრების ნაშთი შემცირდა - 17246,40 ლარით, ერთჯერადი გადაფასების შედეგად ნაშთი გაიზარდა - 755537,46 ლარით, ხოლო კაპიტალის სხვა ცვლილებების

შედეგად ნაშთი გაიზარდა 1231188,89 ლარით. სულ გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის გადაანგარიშებულმა საწყისმა ნაშთმა ბიუჯეტით შეადგინა - 35447242,15 ლარი(არასაბიუჯეტო სახსრების კორექტირებებს ადგილი არ ქონია). სულ წმინდა აქტივების/კაპიტალის გადაანგარიშებულმა საწყისმა ნაშთმა შეადგინა - 36764208,71 ლარი.

2022 წლის ფინანსური შედეგები ასახული ამავე დასახელების ფორმაში. შემოსავლებმა სულ შეადგინა - 28671482,13 ლარი(დეტალური მონაცემები ასახულია N14, N15, N16 და N18 შენიშვნების ცხრილში), მათ შორის: ბიუჯეტით - 27917933,14 და არასაბიუჯეტო სახსრებით - 753548,99 ლარი. საანგარიშო პერიოდის ხარჯებმა სულ შეადგინა - 28362416,40 ლარი, მათ შორის: ბიუჯეტით - 27753819,35 ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით - 608597,05 ლარი. შემოსავლებისა და ხარჯების შედარებით, პერიოდის ნამეტიმა ბიუჯეტით შეადგინა(27917933,14-27753819,35) – 164113,79 ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით(753548,99-608597,05) - 144951,94 ლარი. სულ – 309065,73 ლარი.

საანგარიშო პერიოდის ნამეტის ფაქტორის გავლენით, წმინდა აქტივების/კაპიტალის საბოლოო ნაშთმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგინა (36764208,71+309065,73) – 37073274,44 ლარი.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების მაჩვენებლები ასახულია ამავე დასახელების ფორმაში, კერძოდ: სულ ბიუჯეტის დამტკიცებულმა შემოსულობებმა შეადგინა - 23500000 ლარი, ხოლო დაზუსტებულმა მოცულობამ - 24568643 ლარი. ბიუჯეტის შერულებამ შეადგინა - 100,15%, ანუ - 24605061,71 ლარი.

ამავე ფორმაში ბიუჯეტის გადასახდელების დამტკიცებულმა მოცულობამ შეადგინა - 24340000 ლარი, ხოლო დაზუსტებულმა მოცულობამ - 25480030,70 ლარი. შესრულების მაჩვენებელი შეადგენს(97,93%) – 24953084,50 ლარს. შემოსავლებისა და ხარჯების მონაცემების შედარებით, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება შეადგენს(24605061,71-24953084,50) – 348022,79 ლარს. დეტალური მონაცემები ასევე განზოგადებულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების N21 ცხრილში.

ფინანსური ანგარიშგების N22 შენიშვნაში მოცემულია საცნობარო დანიშნულების ზოგადი ინფორმაცია სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი კატეგორიების შესახებ, კერძოდ: სხვა მოკლევადიანი აქტივები - 45916,54 ლარის ღირებულების და ძირითადი აქტივები - 4323930,95 ლარის ღირებულების, სულ - 4369847,49 ლარი, ადმინისტრირებადმა შემოსავლებმა შეადგინა - 2184463,22 ლარი, ხოლო ხარჯებმა - 5018127,32 ლარი.

ბალანსის საცნობარო მუხლები;

N01 – ირიცხება საოპერაციო იჯარით მიღებული აქტივების ღირებულება, რომელიც გაიზარდა პერიოდის დასაწყისთან(18540 ლარი) შედარებით - 38955,0 ლარით და პერიოდის ბოლოს შეადგენს - 57495,0 ლარს.

N02 - პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები, შემცირდა პერიოდის დასაწყისთან (16289,12 ლარი) შედარებით - 14044,12 ლარით და შეადგენს - 2245 ლარს.

N03 - გასული წლების გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება შემცირდა - 2381,0 ლარით და შეადგენს - 160426,59 ლარს (ძირითადად კოდორის ხეობაში დარჩენილი მოძრავი ქონების ჩამოწერილი დავალიანება – 138841,03 ერიცხება აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს).

N04 - ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგების ღირებულება პერიოდის დასაწყისთან (1024775,54) შედარებით გაიზარდა – 339206,53 ლარით და შეადგენს – 1363982,07 ლარს.

N06 - პირობითი ვალდებულებები წლის დასაწყისთან(25875,0 ლარი) შედარებით შემცირდა - 4475,0 ლარით და შეადგენს - 21400,0 ლარს.

N08 საცნობარო მუხლიდან პერიოდის განმავლობაში დაქვემდებარებულ ერთეულებს გადაეცა, ასევე ჩამოწერას დაექვემდებარა – 323144,76 ლარის ამორტიზებული ძირითადი აქტივები და პერიოდის ბოლოს ირიცხება – 615170,78 ლარი.

N12 საცნობარო მუხლში უცვლელია ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანებების თანხა - 645,

83 ლარი.

ავტონომიური რესპუბლიკის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გათვალისწინებული იქნა არსებითი პრინციპები და კონსოლიდაციის წესები.

განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებულია ყველა არსებითი ინფორმაცია აქტივებზე, ვალდებულებებზე და გაუნაწილებელ ნამეტ/დეფიციტზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის საიმედო, მომზადებულია ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, არის ნეიტრალური, დაცულია ტენდენციურობისაგან და ხელმისაწვდომია შიდა და გარე მომხმარებლებისათვის.